პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
შაბათი, 12 დეკემბერი, 1942 წ. № 293 (6609). ფასი 15 კაპ.

ხალხთა სტალინური ოჯახის სიმტკიცისა და ერთსულოვნების მძლავრი დემონსტრაცია

კაცობრიობის ისტორიაში დაუვიწყარ, უდიდეს თარიღებად ჩაიწერა 1937 წლის 11 დეკემბერი, როცა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე ისტორიული სიტყვით გამოვიდა ხალხთა ბრძენი ბელადი ამხანაგი სტალინი, და იმავე წლის 12 დეკემბერი — სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების დღე.

მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა. მაგრამ საბჭოთა ხალხის ხსოვნაში ჩაუქრობელ ლამპრად ანთია ამ ისტორიული დღეების გრანდიოზულობა. ბელადის მართალი, შორსმჭვრეტელი, ბრძნული სიტყვები, როგორც ყოველთვის, საბჭოთა ადამიანების გულის სიღრმეს დაეუფლა.

ბელადს უსმენდნენ მილიონობით ადამიანები.

ამხანაგ სტალინის სიტყვები მსოფლიოში ერთადერთ ნამდვილად თავისუფალ და ნამდვილად ბოლომდე დემოკრატიულ არჩევნებზე, ხალხის მსახურის—დეპუტატის მოვალეობებზე, ამომრჩეველთა უფლებებზე—უდიდესი შთამაგონებელი ძალით გაისმა. მან ახალი წარმატებებისათვის შეაიარაღა საბჭოთა ადამიანები, რომლებმაც 1937 წელს აირჩიეს საბჭოთა პარლამენტი.

არჩევნებში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევმა სტალინურმა ბლოკმა. ეს იყო ბოლშევიკური პარტიის ტრიუმფი. მან მთელ მსოფლიოს ერთხელ კიდევ დაანახვა, რომ მტკიცე და ურღვევია ხალხთა სტალინური მეგობრობა. ეს არჩევნები გადაიქცა საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად, ხოლო მისმა შედეგებმა კვლავ ნათელჰყო, რომ მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი მჭიდროდ არის დარაზმული ლენინ-სტალინის დიადი პარტიის გარშემო, მშობლიური სტალინის გარშემო.

კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს არჩევნებში ხმა მისცა ამომრჩეველთა 98,6 პროცენტმა. საბჭოთა ხალხმა ამით გამოხატა თავისი უსაზღვრო ერთგულება ბოლშევიკების პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი. ეს იყო ხალხთა სტალინური ოჯახის სიმტკიცისა და ერთსულოვნების მძლავრი დემონსტრაცია. **„ჯერ არასოდეს არ ყოფილა მსოფლიოში ასეთი ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები, არასოდეს! ისტორიამ არ იცის მეორე ასეთი მაგალითი“**, —ამბობდა ამხანაგი სტალინი.

ის, რაც საბჭოთა ხალხმა გამოხატა 1937 წლის 12 დეკემბრის არჩევნებში ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად, გამანადგურებელ რისხვად დაატყდა თავზე საშუალო საუკუნეობრივი წყვდიადისა და ბნელეთის ძალებს—გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს. როცა ვერაგი მტერი თავს დაგვესხა, იგი ვარაუდობდა, რომ საბჭოთა წყობილება, საბჭოთა ზურგი მტკიცე არ იქნებოდა, წითელი არმიის პირველი წარუმატებლობის შემდეგ თავს იჩენდა კონფლიქტები მუშებსა და გლეხებს შორის, საბჭოთა ხალხებს შორის დაიწყებოდა ჩხუბი, დაიწყებოდა აჯანყებანი და ჩვენი ქვეყანა შემადგენელ ნაწილებად დაიშლებოდა. მაგრამ, როგორც ყოველთვის, პირსისხლიანი ჰიტლერელები სასტიკად მოსტყუვდნენ ანგარიშში.

„წითელი არმიის წარუმატებლობამ არა თუ ვერ შეასუსტა, არამედ კიდევ უფრო მეტად განამტკიცა როგორც მუშათა და გლეხთა კავშირი, ისე სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა,—სთქვა ამხანაგმა სტალინმა დიდი ოქტომბრის XXIV წლისთავზე თავის ისტორიულ მოხსენებაში.—**უფრო მეტიც, — ამ წარუმატებლობამ სსრ კავშირის ხალხთა ოჯახი გადააქცია ერთიან ურღვევ ბანაკად, რომელიც თავდადებით ეხმარება თავის წითელ არმიას, თავის წითელ ფლოტს. საბჭოთა ზურგი არასოდეს არა ყოფილა ისე მტკიცე, როგორც ახლაა“.** საბჭოთა წყობილებამ, მიუხედავად თვალსაჩინო ტერიტორიის დაკარგვისა, კიდევ უფრო განამტკიცა თავისი ზურგი და მთელ მსოფლიოს დაანახვა, რომ იგი **ყველაზე უფრო მტკიცე წყობილებაა.**

ღრმა სიხარულით, აღფრთოვანებითა და კანონიერი სიამაყის გრძნობით შეხვდნენ საბჭოთა ადამიანები ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავზე. საყვარელი ბელადისა და გენიალური მხედართმთავრის სიტყვებმა იმის შესახებ, რომ **„ჩვენს ქვეყანას ასეთი მტკიცე და ორგანიზებული ზურგი ჯერ კიდევ არასოდეს არა ჰქონია“**, —ახალი საბრძოლო და შრომითი გმირობისათვის აღაფრთოვანეს ჩვენი ქვეყნის მშრომელები.

ჩვენს ქვეყანაში ფრონტი და ზურგი ერთიანია.

ფრონტზე ისტორიაში უმაგალითო მამაცობით იბრძვიან მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის შვილები, რომლებიც დაუნდობლად ანადგურებენ ჰიტლერელ ავაზაკებს და მიხაკისფერი ჭირისაგან იცავენ მოწინავე კაცობრიობის საქმეს. ამ მებრძოლთა შორის არიან ქართველი ხალხის სახელოვანი შვილები. ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე გაშლილ უზარმაზარ ფრონტის ხაზზე წითელი არმია უმაგალითო გმირობით იცავს სოციალისტურ სამშობლოს, ანადგურებს ფაშისტ მხეცებს, ანვითარებს წარმატებით შეტევას ლეგენდარული სტალინგრადის რაიონში და ცენტრალურ ფრონტზე.

ამაში მჟღავნდება ხალხთა სტალინური ოჯახის სიმტკიცე და ერთსულოვნება!

ზურგში საბჭოთა ადამიანები შრომითი მამაცობის სასწაულებს ახდენენ, დღითიდღე ადიდებენ პროდუქციის გამოშვებას და ფრონტს, ჩვენს ქვეყანას უმზადებენ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით სურსათსა და ნედლეულს მრეწველობისათვის. ამასწინად ტამბოველმა კოლმეურნეებმა ორ კვირაში 40 მილიონი მანეთი შეაგროვეს სატანკო კოლონის—„ტამბოველი კოლმეურნის“ ასაგებად. ულევია საბჭოთა ადამიანების შესანიშნავი პატრიოტული საქმეები.

ამაში მჟღავნდება ხალხთა სტალინური ოჯახის სიმტკიცე და ერთსულოვნება!

დაე ვერაგი მტერი ძრწოდეს საბჭოთა ხალხის მრისხანე შურისგების მოლოდინში. ჩვენ კიდევ უფრო გავაძლიერებთ ფრონტზე დარტყმებს საზიზღარი ფაშისტური ურჩხულის გასანადგურებლად; კიდევ უფრო დავძაბავთ ძალებს ზურგში შრომის ფრონტზე ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად და **ლენინ-სტალინის** ძლევამოსილი დროშით წინ გავსწევთ ჰიტლერული ტირანიის სრული მოსპობისათვის.

მწერალთა საქალაქო შეკრება

10 და 11 დეკემბერს მწერალთა კლუბში შესდგა საქ. საბჭოთა მწერლების საქალაქო შეკრება, მიძღვნილი მწერალთა მხატვრული პროდუქციის ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებისადმი.

შეკრებაზე მოხსენებით გამოვიდა საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ი. აბაშიძე.

მოხსენების შემდეგ კამათში პირველი გამოვიდა ამხ. ბ. ჟღენტი.

გამომცემლობა „ფედერაციის“ მუშაობის ირგვლივ ილაპარაკა გამომცემლობის დირექტორმა ამხ. რ. გვეტაძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა ა. ლომიძემ, ს. თავაძემ, ა. გაწერელიამ, დ. შენგელაიამ, ვ. წულუკიძემ, ა. აბაშელმა, ი. ლისაშვილმა, კ. ბობოხიძემ, ა. ჭეიშვილმა ა. მაშაშვილმა, კ. ჭიჭინაძემ, კ. გამსახურდიამ, ხ. ეულმა, შ. რადიანმა, სახელგამის დირექტორმა ნ. კიკნაძემ, გ. მდივანმა და შ. დადიანმა. შეკრებაზე გააკრიტიკეს ზოგიერთი მწერლის, მათ შორის ი. ლისაშვილის, ა. ჭეიშვილის, ს. წვერავას, კ. გოგიავას და ი. ლომიძის სამამულო ომის თემატიკაზე დაწერილი წიგნები, რომლებიც მხატვრულად სუსტ პროდუქციას წარმოადგენენ.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. ი. თავაძე.

უკანასკნელი ცნობები

იდენის განცხადება ჩრდილოეთ აფრიკაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 10 დეკემბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, თემთა პალატის ლიდერმა იდენმა ხელახლა გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ საჭირო მთავრობის ცნობა დარლანის შესახებ მოსმენილ იქნას დახურულ სხდომაზე. პალატაში დაჟინებით გამოითქვა სურვილი, რათა იდენს აღეთქვა, რომ ამის შესახებ ინგლისს გაუკეთდება განცხადებაო. ამის პასუხად იდენმა სთქვა: „საზოგადოებრიობის აზრი გათვალისწინებულია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის განცხადებასა და იმ განცხადებაში, რომელიც მე თემთა პალატაში გავაკეთე. მე არ შემიძლია ვალდებულება ვიკისრო, რომ გაკეთებულ იქნება საჯარო განცხადება“.

შემდეგ გაიმართა თემთა პალატის დახურული სხდომა ჩრდილოეთ აფრიკის ამბების განსახილველად. მათ შორის დარლანის მდგომარეობის შესახებაც. გამოქვეყნებულ იყო ცნობა, რომ ჩერჩილი სიტყვას წარმოსთქვამდა კამათის დასაწყისში.

საომარი მოქმედება ჩრდილოეთ აფრიკაში

ლონდონი, 11 დეკემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ამერიკელებმა კვლავ წინ წაიწიეს ტებურბის სექტორში, სადაც მძიმე ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს. მტერმა ბრძოლის ველზე 400 კაცი დასტოვა მარტო მოკლულთა სახით და უკან დაიხია. ინგლის-ამერიკის ავიაციის მოქმედება სულ უფრო და უფრო ეფექტიანი ხდება. რეგულარულად მოდის მაშველი ძალები. ჩრდილოეთ აფრიკის აეროდრომებზე უკვე თავმოყრილია ავიაგამანადგურებლებისა და ბომბდამშენების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

ლონდონი, 11 დეკემბერი (საქდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ელ-აგეილის რაიონში მტრის ჯარები ნერვიულობენ. ინგლისის ავიაცია აქტიურად მოქმედებს ბრძოლის რაიონებში, და გუშინ მოწინააღმდეგის ტრანსპორტი, ბატარეები და ბანაკები დაბომბა.

რა ბედი ეწია საფრანგეთის ფლოტს ტულონში

ვაშინგტონი, 11 დეკემბერი (საქდესი). პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო მინისტრმა ნოქსმა განაცხადა, რომ, როგორც საჰაერო დაზვერვამ ცხადჰყო, ტულონის რაიონში ჩაძირული და დაზიანებულია 50-მდე სამხედრო გემი და ერთი სავაჭრო გემი. როგორც ჩანს, 15 სამხედრო გემი და 5 ტანკერი უვნებელი დარჩა.

ჯერჯერობით არაფერი იციან, თუ რა ბედი ეწია 8 წყალქვეშა ნავს, როგორც ჩანს, მშენებლობის პროცესში მყოფი 4 წყალქვეშა ნავი უვნებელი დარჩა, ოთხმა გაქცევა მოახერხა. ერთ-ერთი მათგანი ინტერნირებულ იქნა ბარსელონაში, ორმა ალჟირს მიაღწია, მეოთხე—დაზიანებული ნავი ამჟამად ორანშია.

ნავსადგურში დარჩენილთა და, როგორც ჩანს, დაუზიანებელ გემთა შორის არის ორი მსუბუქი კრეისერი, განიარაღებული საბაზო გემი „ოსეანი“ და ფლოტილიის სამი ლიდერი, სამი საესკადრო ნაღმოსანი, ორი საკანონერო ნავი, ხუთი ტანკერი და ერთი სატვირთო გემი.

ფრანგები დე გოლს უერთდებიან

ლონდონი, 11 დეკემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის სომალიდან დირედაუაში ჩავიდა 40 ფრანგი ოფიცერი და 1.500 ჯარისკაცი პოლკოვნიკ რაიანელის მეთაურობით. მან ტელეგრაფით შესთავაზა თავისი დახმარება გენერალ ლეჟანტილომს, რომელიც, სანამ მებრძოლ საფრანგეთს შეუერთდებოდა, საფრანგეთის სომალის სამხედრო გუბერნატორი იყო.

მოსკოვი. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი
ამხანაგ სტალინს

თქვენი, ამხანაგო სტალინ, ისტორიული მოხსენებით და ბრძანებით აღფრთოვანებულმა სარატოვის ოლქის კოლმეურნე ქალებმა და კაცებმა თავიანთი დანაზოგიდან შეაგროვეს 33.500.000 მანეთი იმისათვის, რომ საბრძოლო თვითმფრინავები ააგონ სტალინგრადის ფრონტის საჩუქრად.

სახსრების შეგროვება წარმატებით გრძელდება, როგორც ჩვენი სამშობლოსადმი სარატოვის ოლქის კოლმეურნეთა უსაზღვრო ერთგულებისა და გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი გმირი წითელი არმიისადმი დახმარების ბრწყინვალე გამოვლინება.

საკ. კ. პ. (ბ) სარატოვის ოლქკომის მდივანი კომაროვი

სარატოვი. საკ. კ. პ. (ბ) ოლქკომის მდივანს
ამხანაგ კომაროვს

გადაეცით სარატოველ კოლმეურნე ქალებსა და კაცებს ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა.

ი. სტალინი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

11 დეკემბრის დილის ცნობა

10 დეკემბრის ღამის განმავლობაში სტალინგრადის რაიონში და ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევით ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

• • •

სტალინგრადის საქარხნო რაიონში ჩვენი ქვეგანაყოფები, რომელნიც პატარ-პატარა ჯგუფებად მოქმედებდნენ, მოწინააღმდეგის ძელმიწურებს ანადგურებდნენ და საცეცხლე წერტილებს ახშობდნენ. განადგურებულია მტრის 10-მდე სიმაგრე მათი გარნიზონებიანად. ქალაქის სამხრეთ გარეუბანში ჩვენმა ნაწილებმა მტრის სასტიკი წინააღმდეგობა სძლიეს და წინ წაიწიეს. გაჟლეტილია ერთ ასეულამდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპობილია 4 ქვემეხი, 9 ტყვიამფრქვევი და 3 ნაღმსატყორცნი.

• • •

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ნაწილები შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ და მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს იგერიებდნენ. ქვეგანაყოფები ამხ. საფონოვის მეთაურობით გერმანელთა სანგრებში შეიჭრნენ. ჩვენმა მებრძოლებმა ხელჩართული ბრძოლით განდევნეს გერმანელები იმ პოზიციებიდან, რომლებიც მათ ეკავათ. სანგრებსა და ტრანშეებში ბევრი მოკლული ჰიტლერელი დარჩა. სხვა უბანზე საბჭოთა ნაწილებმა მოწინააღმდეგის რამდენიმე კონტრიერიში მოიგერიეს, გერმანელთა 7 ტანკი მოსპეს და ერთ ბატალიონზე მეტი ქვეითი ჯარი გაჟლიტეს.

• • •

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით ნ ნაწილმა გერმანელთა კონტრიერიში მოიგერია. მოწინააღმდეგემ 160-ზე მეტი მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი დასტოვა ბრძოლის ველზე და უკან დაიხია. სხვა უბანზე ექვსი ჩვენი მებრძოლი და გვარდიის ლეიტენანტი ბეზზუბიკი ერთ მაღლობს იცავდა. მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის ასეულმა რამდენჯერმე მოიტანა იერიში, მაგრამ ჩვენმა მებრძოლებმა ყველა იერიში მოიგერიეს და მტერი უკუაქციეს. შვიდმა გვარდიელმა 80-მდე ჰიტლერელი გაჟლიტა და თავისი ზღუდე დაიცვა.

• • •

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები დაკავებულ პოზიციებს ამაგრებდნენ და ძალების ნაწილით შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ. რჟევის დასავლეთით მდებარე რაიონში საბჭოთა ნაწილებმა ჰიტლერელთა წინააღმდეგობის კვანძი გაანადგურეს და გერმანელთა ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი გასწყვიტეს. წამოღებულია 6 ქვემეხი, 27 ტყვიამფრქვევი, რადიოსადგური, 4 ავტომანქანა და სხვა დავლა. ველიკიე ლუკის რაიონში გერმანელებმა სამჯერ მოიტანეს იერიში ნ ნაწილის პოზიციებზე. მოწინააღმდეგის ყველა იერიში მოგერიებულ იქნა, ამასთან მტერი დიდად დაზარალდა.

• • •

უკრაინელთა პარტიზანულმა რაზმმა 20 დღის საბრძოლო მოქმედების განმავლობაში მტრის 970 ჯარისკაცი და ოფიცერი გასწყვიტა. პარტიზანებმა მოსპეს გერმანელთა 5 ჯავშნიანი მანქანა, 17 სატვირთო ავტომანქანა, 22 ტყვიამფრქვევი, ააფეთქეს 20 ხიდი და გაანადგურეს 2 რკინიგზის სადგური. პარტიზანებმა ხელთ იგდეს ქვემეხი, ნაღმსატყორცნი, 3 ავტომანქანა, 2 რადიოსადგური, 20.000 ვაზნა, დიდძალი ხორბალი და სურსათ-სანოვაგე, რაც გერმანელებს მოსახლეობისათვის წაერთმიათ. გერმანელებისათვის წართმეული სურსათის დიდი ნაწილი მოსახლეობას დაურიგდა.

• • •

ცნობილია, რომ ფაშისტური გერმანიის ეკონომიკა უკიდურეს ზომამდეა დაძაბული. გერმანიის სარდლობას იმედი ჰქონდა, რომ თავის საქმეებს გამოასწორებდა გერმანელების მიერ დაკავებული საბჭოთა რაიონების მრეწველობის საშუალებით, მაგრამ ჰიტლერელთა ეს გეგმები სამარცხვინოდ ჩაიფუშა. საბჭოთა ხელისუფლებმა თავის დროზე მოახდინეს ფაბრიკა-ქარხნების, შახტებისა და მაღაროების მოწყობილობის ევაკუაცია, ხოლო ყოველივე ის, რის გამოზიდვაც არ შეიძლებოდა, სავსებით გააფუჭეს. ასეთია ფაქტები. ახლა ჰიტლერულმა პროპაგანდამ უცბად კვეხნა დაიწყო ეკონომიური წარმატებით, რასაც ვითომდა მიაღწიეს გერმანელებმა ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში. მაგალითად, ჰიტლერელებმა ლიტვის რადიოსადგურების საშუალებით გადასცეს, რომ „აღმოსავლეთ ოლქებში აღდგენილია სარემონტო სახელოსნოები და სხვა საწარმოები. ერთმა სატრაქტორო ქარხანამ მოკლე ხანში 40.000-ზე მეტი ტრაქტორი გამოუშვა“. ამ ცნობის ავტორები კრილოვის არაკში მოხსენებულ ცრუპენტელას დაემსგავსნენ, რომელიც იკვეხოდა, რომ მან რომში მთისოდენა კიტრი ნახა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ გერმანიის ჯარების მიერ დროებით დაკავებულ ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი სატრაქტორო ქარხანა იყო. ლაპარაკია ხარკოვის ქარხანაზე. გერმანელების მიერ ქალაქის ხელში ჩაგდებამდე დიდი ხნით ადრე ქარხნის მთელი მოწყობილობა აღმოსავლეთში იქნა გაზიდული. მრავალი თვის წინათ ხარკოვის სატრაქტორო ქარხანამ ახალ ადგილას დაიწყო პროდუქციის გამოშვება წითელი არმიისათვის. აქედან სავსებით ნათელია, რომ ჰიტლერელებს არ შეეძლოთ აღედგინათ და არც აღუდგენიათ სატრაქტორო ქარხანა. ამიტომ 40.000 ვითომდა გამოშვებული ტრაქტორი მარტო ჰიტლერელთა ავადმყოფურ წარმოდგენაში არსებობს. თავისთავად ცხადია, რომ ამ მითური ტრაქტორებით არც რისამე ზიდვა შეიძლება, არც ხვნა.

11 დეკემბრის საღამოს ცნობა

11 დეკემბრის განმავლობაში სტალინგრადის რაიონში და ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევით ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

10 დეკემბრის განმავლობაში სტალინგრადის რაიონში მოსპობილია მოწინააღმდეგის 60 სატრანსპორტო თვითმფრინავი.

• • •

10 დეკემბერს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 10 ტანკი, 200-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩააქრეს 7 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი, დაამსხვრიეს რკინიგზის ორი შემადგენლობა, ააფეთქეს საომარი მასალის 2 საწყობი და საწვავის საწყობი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მოწინააღმდეგის ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

• • •

სტალინგრადის საქარხნო რაიონში ჩვენი ნაწილები ცეცხლით ბრძოლას ეწეოდნენ და მტრის ძელმიწურ საცეცხლე წერტილებსა და ბლინდაჟებს ანგრევდნენ. ქალაქის სამხრეთ განაპირა უბანში იმ ქვეგანაყოფის მებრძოლები, რომლის მეთაურიც არის ამხ. ჩერნენკო, გარშემოერტყნენ მტრის 6 ძელმიწურ საცეცხლე წერტს და გაჟლიტეს იქ მყოფი ჰიტლერელები, რომელნიც წინააღმდეგობას უწევდნენ. დღის განმავლობაში სხვადასხვა უბანზე დაზიანებულია გერმანელთა 2 ტანკი, მოსპობილია 34 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი და მტრის 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

• • •

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით, მდინარე დონის მარცხენა ნაპირზე ჩვენი ნაწილები მტრის კონტრიერიშებს იგერიებდნენ და მის პოზიციებს ზვერავდნენ. მებრძოლებმა ამხ. ჩისტიაკოვის მეთაურობით მტრის 5 კონტრიერიში მოიგერიეს და პირვანდელ ზღუდეებზე უკუაგდეს გერმანელები. მოწინააღმდეგემ ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი დაჰკარგა ამ ბრძოლაში და ბრძოლის ველზე დასტოვა 3 დაზიანებული და 2 დამწვარი ტანკი. სხვა უბანზე ჰიტლერელებმა იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე 7 ტანკისა და 10 ჯავშანმანქანის დახმარებით. ჩვენი არტილერიის ცეცხლით მოსპობილია ჯავშანმანქანა და გერმანელთა შვიდივე შემომტევი ტანკი.

• • •

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ძალების ნაწილით აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ, სხვა უბნებზე კი მოწინააღმდეგის მზვერავი რაზმების გამოხდომას იგერიებდნენ. ნ ნაწილის არტილერისტებმა მოწინააღმდეგის რამდენიმე საარტილერიო ბატარეა ჩააჩუმეს, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს თავმოყრილი ქვეითი ჯარი. ერთი ჩვენი მსროლელი ნაწილის მებრძოლები გერმანელთა განლაგებაში შეიჭრნენ და გააფთრებულ ბრძოლაში გაჟლიტეს მტრის 180 ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია 2 ქვემეხი, 9 ტყვიამფრქვევი, 7 ნაღმსატყორცნი, 13 ავტომანქანა და საომარი მასალის საწყობი.

• • •

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები მიღწეულ ზღუდეებზე მაგრდებოდნენ და ძალების ნაწილით მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების წინააღმდეგ ბრძოლებს ეწეოდნენ. რჟევის რაიონში ნაწილმა, რომელსაც ამხ. სალომატინი მეთაურობს, გერმანელთა ქვეითი ჯარის რამდენიმე კონტრიერიში მოიგერია. ჩვენმა მებრძოლებმა მოწინააღმდეგე მოჰკანცეს, იერიში მიიტანეს და მისი მთელი რიგი დასაყრდენი პუნქტები დაიკავეს. ამ ბრძოლაში გერმანელებმა რამდენიმე ასეული ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა სახით. მოსპობილია მოწინააღმდეგის 21 ტანკი.

ველიკიე ლუკის რაიონში იმ ნაწილის ქვეგანაყოფებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. მასლოვი, გააფთრებული ბრძოლის შედეგად დიდი ტაქტიკური მნიშვნელობის მქონე მაღლობი დაიკავეს. გერმანელთა მიერ მოტანილ მრავალ კონტრიერიშს წარმატება არა ჰქონია და იმით დამთავრდა, რომ მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი ნახა ადამიანთა და ტექნიკის მხრივ.

• • •

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა 13 დღის განმავლობაში მტრის 500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს. არტილერიის ცეცხლით დანგრეულია მტრის 24 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, მოსპობილია 2 ქვემეხი, 8 ტყვიამფრქვევი და საომარი მასალის საწყობი.

• • •

ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი რაზმის პარტიზანებმა მტერთან ბრძოლაში 70 გერმანელი ჯარისკაცი და 6 ოფიცერი გაჟლიტეს. მოსპობილია 1 მსუბუქი და 2 სატვირთო ავტომანქანა, 3 მოტოციკლი. მოშლილია სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირგაბმულობის ხაზი 8 კილომეტრის მანძილზე. სხვა რაზმის პარტიზანებმა ააფეთქეს მოწინააღმდეგის რკინიგზის ეშელონი, რომელიც 50 ვაგონისა და 2 პლატფორმისაგან შესდგებოდა.

• • •

სტალინგრადის ოლქის სოფელ ლატოშანკის მცხოვრებლებმა, რომელიც განთავისუფლებულია გერმანელი ოკუპანტებისაგან, აქტი შეადგინეს ჰიტლერელ არამზადათა ბოროტმოქმედების შესახებ. აქტში ნათქვამია: „გერმანელებმა პირწმინდად გაძარცვეს სოფლის მცხოვრებნი, წაგვართვეს მთელი სურსათი, ტანსაცმელი, თექის ჩექმები, კურტაკები და სხვა ნივთები. გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები სახლებში გვივარდებოდნენ და ყველაფერი მიჰქონდათ, რასაც კი დაინახავდნენ. ჰიტლერელებმა ძალით გაირეკეს ზურგში ლატოშანკის 95 მცხოვრები, მათ შორის ტატიანა კომპანეიცევა და მისი 7 შვილი. ფაშისტმა ჯალათებმა ორი ქალიშვილი ოფიცრებისათვის მოწყობილ საროსკიპოში წაიყვანეს“. აქტს ხელს აწერენ: ეკატერინე მამონტოვა, ტაისია ტრეგუბოვა, ევდოკია ხოხტენკო, თამარ ულანოვა და ანასტასია მაკაროვა.

• • •

ბერძენმა პარტიზანებმა ააფეთქეს ხიდი სალონიკ-ათენის რკინიგზის უბანზე. ამ გზით იტალიელ-გერმანელთა ჯარების რამდენიმე ეშელონი მიდიოდა ყოველდღე. ამჟამად ამ უბანზე ყოველგვარი მოძრაობა შეწყვეტილია.

გერმანელთა მხეცობა ლენინგრადის ოლქის ოკუპირებულ რაიონებში

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტი, (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ფრონტის ხაზით საბჭოთა ჯარების განლაგებაში გადმოსულმა გლეხებმა გვაცნობეს ახალი ფაქტები ჰიტლერელთა ველური თვითნებობისა ლენინგრადის ოლქის იმ ქალაქებსა და სოფლებში, რომლებიც ოკუპირებულია გერმანელების მიერ.

ქ. პსკოვში გერმანელმა ხელისუფლებმა შეარჩიეს 600 საბჭოთა მცხოვრები, ვითომდა გერმანიაში სამუშაოდ გასაგზავნად. მოხუცები, მოზარდები და ქალები რომელთაგან ბევრს პატარა ბავშვები ეჭირათ ხელთ, კოლონად გაამწკრივეს და მცველების თანხლებით სოფელ ბაულინოსაკენ მიმავალი გზით გარეკეს. როცა კოლონა გაუსწორდა კარიერებს, სადაც აგურის ქარხნებისათვის თიხა ამოჰქონდათ, ჰიტლერელებმა ადამიანები თხრილებში შეჰყარეს და ყველანი დახვრიტეს.

სოფელ სტრაშევოს ახლოს ავარია შეემთხვა გერმანელთა ავტომანქანას. ჰიტლერელებმა ეს ადგილობრივ მცხოვრებლებს მიაწერეს და სოფელში 50-ვე სახლ-კარი დასწვეს. ცეცხლში დაიღუპა გლეხთა მთელი ქონება. ახლა სოფელ სტრაშევოს ადგილას ნანგრევთა გროვაა.

გერმანელებმა სისტემად შემოიღეს მცხოვრებთა საჯარო გაწკეპლა. ერთხელ გლეხი ვასილ ციგანოვი ტორფის ურმით დაწესებულ განრიგზე 15 წუთის დაგვიანებით მოვიდა. მონური შრომით ქანცგაწყვეტილი ადამიანი გერმანელებმა საჯაროდ გაწკეპლეს ზუმბებით და აიძულეს მაშინვე წასულიყო ჭაობებში ტორფისათვის.

ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმები, ვჭედოთ ვერაგ მტერზე გამარჯვება!

მომჭირნეობით ვხარჯოთ ელექტროენერგია!

„საქენერგოს“ ენერგოგასაღების სამმართველოს ცნობებით, ელექტროენერგიის ხარჯვაში საქართველოს საწარმოებმა ოქტომბერში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. თუ სექტემბერში ელექტროენერგია გადახარჯულ იქნა 9,9 პროცენტით, ოქტომბერში ამ ციფრმა მნიშვნელოვნად იკლო და დაიდა 0,29 პროცენტამდე.

ოქტომბერში დიდი რაოდენობით დაზოგეს ელექტროენერგია: ქუთაისის აბრეშუმის კომბინატმა—33 პროცენტით, თბილისის აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ—27,6 პროცენტით, ჭიათურის მარგანეცის მაღაროებმა—22,8 პროცენტით, ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის ელექტროენერგიის განყოფილებამ—18,3 პროცენტით, თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკამ—17,6 პროცენტით და სხვ. აღსანიშნავია ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა, რომელმაც სექტემბერთან შედარებით სამჯერ შეამცირა ელექტროენერგიის ხარჯვა, მაგრამ ქარხანას მაინც აქვს მნიშვნელოვანი გადახარჯვა, რომლის ლიკვიდაციისათვისაც ქარხნის სამეურნეო და პარტიულმა ხელმძღვანელებმა ყველა საჭირო ზომა უნდა მიიღონ.

მაგრამ არის მთელი რიგი საწარმოები, რომელთაც ელექტროენერგიის დიდი გადახარჯვა აქვთ. ასეთებს ეკუთვნიან: ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა, ინგურის ქაღალდის კომბინატი და სხვ. ამ უკანასკნელში გადახარჯვა გამოწვეულია იმით, რომ მოუწესრიგებელია წყალსადენი, მასალა ხშირად ხარისხოვანი არ არის.

საჭიროა აღნიშნულ საწარმოთა მეთაურებმა მიიღონ ყველა საჭირო ზომა ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის.

მეორთქმავლეთა შეჯიბრება ნოემბერში

შეჯამებულ იქნა ნოემბერში ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე საორთქმავლო დეპოების, მემანქანეთა და ორთქმავლის შემკეთებელთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

საორთქმავლო დეპოებს შორის საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია სამტრედიის საორთქმავლო დეპომ, რომელსაც საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეხუთე თვეა პირველობა უჭირავს მთელს გზაზე. ნოემბერში აქ ადგილი არ ჰქონია მატარებლებისათვის ორთქმავლის დაგვიანებით გამოშვების არც ერთ შემთხვევას. დეპომ გადაჭარბებით შეასრულა ტექნიკური სიჩქარისა და აწევითი შეკეთების გეგმები და გასწია 2 პროც. სათბობის ეკონომია. მეორე ადგილზე გამოვიდა აჯიქაბულის საორთქმავლო დეპო.

ჟიურიმ აღნიშნა ქუთაისის, შორაპნის, ოჩამჩირის და ბათუმის დეპოების მიერ მიღწეული წარმატებანი სათბობის ეკონომიის დარგში.

გზის ცალკეულ რგოლებს შორის შრომის მაღალი, სტახანოვური ნაყოფიერებით მუშაობდა თბილისის საორთქმავლო დეპოს კომპლექსური ახალგაზრდული ბრიგადა ორდენოსან ხიზანიშვილისა და ოსტატ ლეჟავას ხელმძღვანელობით.

ხიზანიშვილის ბრიგადას მიეკუთვნა მთელს გზაზე საუკეთესო კომპლექსური ბრიგადის წოდება. გზის საუკეთესო საორთქმავლო ბრიგადის წოდება დარჩა მემანქანე ყიფიანის მეორთქმავლეთა ბრიგადას. (საქდესი).

თიანეთელი კოლმეურნეები აძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას

(საუბარი ტელეფონით საქ. კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის მდივან ამხ. ი. ღუდუშაურთან)

დიდი ბელადის—ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებასთან და სტალინგრადისა და ცენტრალურ ფრონტებზე გმირი წითელი არმიის წარმატებით შეტევის პასუხად, თიანეთის რაიონში ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. კოლმეურნეობათა უმრავლესობამ საშემოდგომო თესვის გეგმა უკვე შეასრულა. სოფ. თიგერანების კოლმეურნეობამ გეგმის გადამეტებით დათესა 6 ჰექტარი ფართობი. ამავე კოლმეურნეობამ დიდი სტალინის მოხსენების პასუხად ვადაზე ადრე შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის, ყველის, ერბოს და სხვა პროდუქტების ჩაბარების გეგმები.

თესვის გეგმები გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე სოფ. ქებოტის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ. ამავე კოლმეურნეობაში ვადამდე არის შესრულებული ყველა სახელმწიფო ვალდებულება და ახლა 1943 წლის ანგარიშში ბარდება სახელმწიფოს ხორცი. თიანეთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაშიც გეგმის გადამეტებით დათესილია 5 ჰექტარი ფართობი, შესრულებულია სახელმწიფო ვალდებულებათა 1942 წლის გეგმები და მომავალი წლის ანგარიშში ბარდება სახელმწიფოს ხორცი.

რაიონის კოლმეურნეობებმა წარმატებით დაამთავრეს საქონლისათვის საზამთრო ბინების მომზადება. საქონელი როგორც ადგილობრივ, ისე შირაქში, უზრუნველყოფილია წვნიანი და უხეში საკვებით. კოლმეურნეობებმა ორგანიზებულად მოაწყეს საქონლის გარეკა საზამთრო საძოვრებზე. ამ მხრივ ყველაზე უკეთესად იმუშავა სოფ. ღუდანელების მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ი. ჭინჭარაული).

თიანეთის რაიონის მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ დიდი სტალინის ისტორიული მოხსენების და გმირი წითელი არმიის წარმატებით შეტევის პასუხად ჩვენს ქვეყანას, მშობლიურ წითელ არმიას მისცენ მეტი ხორცი, ერბო, კარაქი, ყველი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

ეხმაურებიან თელავის მტს-ის მუშაკთა მოწოდებას

თელავის მტს-ის მუშაკებმა მეტად კარგი ნაბიჯი გადადგეს — მათ ტრაქტორებისა და მისაბმელი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის 1942-1943 წლის ზამთრის რემონტის ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის იკისრეს ახალი ვალდებულებანი და ამავე მიზნით მოწოდებით მიმართეს საქართველოს სხვა მტს-თა მუშაკებს.

თელაველთა მოწოდებას გორის მტს-ის მუშაკები ერთსულოვანი მოწონებით და სოცშეჯიბრების გაშლებით შეხვდნენ. ბრიგადირმა გ. ნაცვლიშვილმა მოწოდების პასუხად იკისრა 8 დღეში დაამთავროს თავის ბრიგადის გეგმით გათვალისწინებული 4 ტრაქტორის მაღალხარისხოვნად შეკეთება, ამავე დროს რემონტის ხარჯები შეამციროს 25 პროცენტით. ტრაქტორისტმა ქეთო ჯოლბორდმა აიღო ვალდებულება თავისი ტრაქტორი შეაკეთოს 3 დღეში და გასწიოს რემონტის ხარჯების ეკონომია 20 პროცენტის რაოდენობით.

თელაველთა მოწოდების პასუხად ახალი ვალდებულებები აიღეს აგრეთვე გორის მტს-ის სხვა მუშაკებმა—ზ. გოჩიაშვილმა, ს. ლომარამ და სხვ. მთლიანად მტს-მა კი იკისრა საზამთრო რემონტის გეგმა შეასრულოს მთავრობის მიერ დაწესებულ ვადაზე 25 დღით ადრე, ამ მიზნით მაქსიმალურად გამოიყენოს ადგილობრივი რესურსები, დაამზადოს და აღადგინოს 10.000 მანეთის სათადარიგო ნაწილები, ამავე დროს 20 პროცენტით შეამციროს რემონტის ხარჯები.

ზ. ზუმბურიძე

გორის მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსი.

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით

მოქმედი არმია, 11 დეკემბერი (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით მოწინააღმდეგე არაერთხელ გამოვიდა გააფთრებულ კონტრიერიშზე. გერმანელები მთელ ძალღონეს ძაბავენ, რათა დაიბრუნონ უკანასკნელ ბრძოლებში დაკარგული პოზიციები. მაგრამ ყველა მათი ცდა უწინდებურად მარცხით მთავრდება. წითელი არმიის მებრძოლნი შეუნელებელი ენერგიით სპობენ მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას.

ერთ-ერთ უბანზე მთელი რიგი დიდი კონტრიერიშების შემდეგ ჰიტლერელებს, რომლებიც ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოჰკანცეს, ძალა გამოელიათ და თავდაცვაზე გადავიდნენ. მაგრამ ჩვენმა მებრძოლებმა შესვენების საშუალება არ მისცეს მოწინააღმდეგეს და გაბედული დარტყმებით უკუაქციეს იგი. მტერი დიდად დაზარალდა. ამ ბრძოლაში დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა რამდენიმე ტანკი.

ბევრ ადგილას ჩვენი ჯარი ბრძოლით დაზვერვას ეწეოდა. ერთმა მსროლელმა ქვეგანაყოფმა არტილერიის ცეცხლის საფარქვეშ გადალახა გერმანელთა მიერ შექმნილი ძნელადმისადგომი დაბრკოლებანი და იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის პოზიციებზე. ქვეითებს სერიოზული დახმარება გაუწიეს ტანკისტებმა. მათ ჩაჩუმეს მტრის ტყვიამფრქვევები და ქვემეხები. ამის შემდეგ ჩვენი მებრძოლნი გერმანელთა სანგრებს მიუახლოვდნენ და გრანატები დააყარეს. ბრძოლაში გაჟლეტილია 100-მდე ჰიტლერელი, მოსპობილია 6 ტყვიამფრქვევი და 1 ქვემეხი.

ცხარე ბრძოლა გაიმართა მეზობელ უბანზე. ჩვენი მებრძოლების ჯგუფი ღამის სიბნელეში მიიპარა ტაქტიკური მხრივ ხელსაყრელ მაღლობთან, რომელიც გერმანელებს ეკავათ. ამ ამოცანას ქვეითნი იმ ქვემეხებსა და ნაღმსატყორცნებთან ურთიერთმოქმედებით ასრულებდნენ, რომლებიც სპეციალურად მიახმარეს მათ. არტილერისტები და ნაღმსატყორცნელები აფეთქებათა კვალით არკვევდნენ მტრის საცეცხლე საშუალებათა ადგილმდებარეობას და მარჯვე სროლით ახშობდნენ მათ. საბჭოთა ქვეითნი გერმანელთა სანგრებში შეიჭრნენ და მტრის 7 სატყვიამფრქვევო ბუდე და რამდენიმე ქვემეხი მოსპეს. გერმანელებმა ბრძოლის ველზე 170-მდე მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი დასტოვეს.

ნადავლი მინდორი კისლიაკოვის ხუტორთან

დათოვლილ დონის ველს მრავალი გზა სერავს. ეს გზები ყოველი მიმართულებით მიდის—ჩრდილოეთით, დასავლეთით, სამხრეთით, აღმოსავლეთით. ბევრ გზაჯვარედინზე ჯერ კიდევ არის გერმანელთა მაჩვენებლები. შავი სვეტები უხმოდ მეტყველებენ, რომ სულ ცოტა ხნის წინათ ველის ბევრი სოფელი მტრის ხელში იყო. გერმანელებმა ისინი წინააღმდეგობის კვანძებად გადააქციეს. მაგრამ ძლიერი და უეცარი იყო აქ ჩვენი ჯარების დარტყმა, გერმანელები გაიქცნენ და დიდძალი სამხედრო დავლა დასტოვეს. ბრძოლის ველს შეიძლება სრული საფუძვლით დავარქვათ ნადავლი მინდორი. ყველგან, სადაც ბრძოლა იყო, ჰყრია მტრის მიერ მიტოვებული მანქანები, იარაღი, საომარი მასალა, სურსათი. შავად მოსჩანს მაზარები, მუზარადები, წაღები.

...კისლიაკოვის ხუტორი. ასე ეწოდება მას დონის კაზაკ სტეფანე კისლიაკოვის სახელით. გორაკზე ერთმანეთს მიკრულნი მოსჩანან წესიერი თეთრი ქოხები. შორიდან ისინი თითქმის შეუმჩნეველია და მხოლოდ დროთა ვითარებისაგან გაშავებული ჩალის სახურავები ოდნავ გამოირჩევიან თეთრ მინდორში.

აქ იყო გერმანელთა ქვეითი დივიზიის შტაბი. შტაბის ოფიცრები ზამთრისთვის კომფორტულად მოწყობილან. ყოველი სახლის ქვეშ კარგი ბლინდაჟებია, შიგნით შეთეთრებული. ხოლო აქა-იქ ზეთის საღებავით შეღებილი კედლებსა და იატაკზე—ხალიჩები, ფიანდაზები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობისათვის წაურთმევიათ. ლოგინები, დგამი—ყოველივე ეს მოწმობს, რომ გერმანელები აქ დიდი ხნით მკვიდრდებოდნენ. გლეხთა ეზოებში დგას გერმანელების მიერ ზამთრისათვის მომარაგებული შეშის ხელუხლებელი ხორები. სახლების სარდაფებშია სურსათის საწყობები, ღვინის კასრები და ყუთები. ბოლში გამოყვანილი თევზი.

ხუტორის შუაგულშია შტაბ-ბინაკი, სადაც მოთავსებული იყო გერმანელთა ქვეითი დივიზიის მეთაური. ახლად შეთეთრებული სახლი მდიდრულად არის მორთული. სტილიანი დგამი, სურათები. პატარა შორენკეცის ღუმელიც კი, რომელიც გენერალს ლაშქრობაში თან დაჰქონდა. ბლინდაჟში—სამუშაო ოთახი, საწოლი ოთახი, სასტუმრო ოთახი, აბაზანა. ფაშისტთა გენერლების გაქცევა იმდენად სასწრაფო იყო, რომ ბლინდაჟში დარჩა სამი პირისათვის გაშლილი სუფრა.

ეზოში გდია გადაბრუნებული „ოპელი“. ჰყრია დამტვრეული სატვირთო მანქანები, ტანკები, ჯავშნიანი მანქანები. გერმანელ ოფიცერთა მცირე რიცხვმა მოახერხა ისარგებლა შტაბის ტრანსპორტით. 50-ზე მეტი მანქანა დგას მყუდრო ხუტორში, სადაც გერმანელთა განადგურებული დივიზიის შტაბი იყო.

დაკლაკნილი გზა ტყეში მიდის. მის ორთავე მხარეს ჩალეწილი მანქანების, საწევრების, სალაშქრო სამზარეულოების, სანიტარული ფურგონების გვერდით ჰყრია მტრის ჯარისკაცთა და ოფიცერთა გვამები. ხევს გაღმა, ტყის ახლოს, გზაზე დგას ახალთ-ახალი „შევროლე“. ლიმუზინის კარებზე არის ემბლემა—გაშეშებული ცხენი. განმასხვავებელი ნიშნის მიხედვით, მანქანა ეკუთვნოდა 311-ე ქვეითი დივიზიის მეთაურს. აქვე გდია გერმანელი პოლკოვნიკის კოხტა მუნდირი.

აი კისლიაკოვის ტყის პირიც. ტყეს შემოვლებული აქვს რამდენიმე ზოლი მავთულხლართი. მისი მისადგომები უნაღმულია. აქ თავმოყრილი იყო მოწინააღმდეგის არტილერია, რომელიც იცავდა გერმანელთა ახალ თავდაცვის ზღუდეს დონის აღმოსავლეთ ნაპირზე. მძიმე ქვემეხების ბატარეები დაუზიანებელი დგანან. მხოლოდ თითო-ოროლა ქვემეხს აქვს ამოღებული საკეტები და ჩამტვრეული აქვს პანორამები. აქვე აწყვია სქელ ბუდეებში ჩადებული ყუმბარები. ჩვენი ყუმბარებით დანგრეულ ძელმიწურ საცეცხლე წერტილებთან და ბლინდაჟებთან ბლომად აწყვია თუთიის ყუთები ვაზნებიანად და ნაღმებიანად. ნადავლი მინდორი!

გზა მიდის თოვლით დაფარული დონით. გაუწყვეტელ ნაკადად მიედინება ავტომანქანები ტვირთიანად, ქვეით ჯარიანად. მიდის ტანკები, ჯავშნიანი მანქანები. წინა პოზიციებზე მიმავალი ახალი ნაწილები თვალნათლივ რწმუნდებიან ჩვენი შეტევის ძალაში. გამოცდილი მეთაურები დასვენებისას ახალგაზრდა მებრძოლებს აცნობენ გერმანულ იარაღის ნიმუშებს.

საინტერესოა ასეთი დაკვირვება. ხელთჩაგდებულ სასურსათო და საინტენდანტო საწყობებში არის ნორვეგიული კონსერვები, ჰოლანდიური ყველი, ბერძნული და ხორვატიული სიგარეტები, ფრანგული ღვინოები, პოლონური თეთრეული. და მხოლოდ ყოველგვარ ერზაცს აქვს გერმანული მარკები და ეტიკეტები.

ტყის იქით დიდი მინდორია. აქ მოწინააღმდეგის აეროდრომი იყო. სატანკო ასეულმა უფროს ლეიტენანტ გორჩინსკის მეთაურობით აქ დაატეხა დარტყმის მთელი ძალა. ტანკისტებმა ხელთ იგდეს მტრის რამდენიმე თვითმფრინავი, მოსპეს ათეული ტანკსაწინააღმდეგო ბატარია. ხელთ იგდეს 5 მძიმე ქვემეხი.

წინ ბრძოლის გრგვინვა ისმის. მეტრი-მეტრზე თავისუფლდება დონის მიწა-წყალი გერმანელი დამპყრობლებისაგან. პოლკებში მატულობს საბრძოლო წარმატებათა ანგარიში და დღითი-დღე სულ უფრო და უფრო იზრდება ნადავლი არე.

ვ. კუდრიავცევი

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით.
„კრასნაია ზვეზდა“, 10 დეკემბერი.

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე

ლეიტენანტ ჩლაიძის თავგანწირვა

მოქმედი არმია („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). ბრძოლის წინ პარტბიუროს მდივანმა ამხ. გ. ხვინგიამ კომუნისტების კრება მოიწვია. კომუნისტებს შორის იყვნენ ის მებრძოლებიც და მეთაურებიც, რომლებმაც განცხადებები დასწერეს პარტიის რიგებში მიღების შესახებ.

ილაპარაკეს მოკლედ. პარტიაში მისაღები ამხანაგებიდან ამაღელვებელი სიტყვა წარმოსთქვა ოცეულის მეთაურმა, ლეიტენანტმა ამხ. ჩლაიძემ.

— დიახ, ამხანაგებო! — განაცხადა მან, — რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ ბრძოლის ველზე გავდივართ. ჩვენ გავდივართ საბრძოლველად გამხეცებულ მტერთან, გერმანელ ბარბაროსთა ოხრებისაგან ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალი, უნდა ვიბრძოლოთ საბჭოთა ადამიანების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ჩვენი შვილების, ცოლების, დედების და დების სიცოცხლისათვის; ამ ბრძოლაში მე მინდა წავიდე კომუნისტად, როგორც დიდი სტალინის საქმისათვის უსაზღვროდ ერთგული. გთხოვთ მიმიღოთ პარტიის რიგებში.

ჩლაიძე მიღებულ იქნა პარტიის წევრობის კანდიდატად. ის გახარებული დაბრუნდა თავის მებრძოლებთან და თავისი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა მათ.

ქვეგანაყოფი შეტევაზე გადავიდა. ადგილმდებარეობის რელიეფი მოწინააღმდეგეს უპირატესობას აძლევდა. მაგრამ ჩვენი მებრძოლებისა და მეთაურების რკინისებურმა ნებისყოფამ ყოველგვარი სიძნელე გადალახა. ქვეგანაყოფმა განაგრძო წინსვლა.

— აბა, ბიჭებო, ერთიორი მაგარი დარტყმა და ფრიცები თხუნელებივით ამოძვრებიან ბლინდაჟებიდან, — ამხნევებდა ჩლაიძე თავისი ოცეულის მებრძოლებს და მოხერხებული მანევრებით წინ მიიწევდა.

— ამხანაგო ლეიტენანტო, თქვენ დაჭრილი ხართ! — უთხრა მებრძოლმა ამხ. ჩლაიძეს, რომელსაც სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდა მკლავიდან.

— არაფერია, — თქვა მან, — მხოლოდ შემიხვიეთ. ჩლაიძე ბრძოლის ველიდან არ გასულა. მან განაგრძო ოცეულის ხელმძღვანელობა და უშიშრობითა და გამბედაობით ყველას აღაფრთოვანებდა.

კიდევ უფრო გაძლიერდა მტრის ნაღმსატყორცნებისა და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლი. ამხ. ჩლაიძე მეორედ დაიჭრა, მაგრამ არც ახლა დაუტოვებია ბრძოლის ველი. ბრძოლამ უფრო გააფთრებული ხასიათი მიიღო. ორჯერ დაჭრილი ლეიტენანტი ჩლაიძე თავისი ვაჟკაცი მებრძოლებით განაგრძობდა საბრძოლო ამოცანის შესრულებას.

ჰიტლერელები სროლას აძლიერებდნენ ყველა სახის იარაღით. ამხ. ჩლაიძე მტრის ნაღმსატყორცნმა მესამედ სასიკვდილოდ დასჭრა. გმირმა მეთაურმა მოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე და შესძახა:

— არც ერთი ნაბიჯი უკან! წინ, გამხეცებულ ჰიტლერელთა გასანადგურებლად, წინ სტალინისათვის!..

იგი დაეცა ბრძოლის ველზე. მეთაურის სიკვდილით განრისხებული მებრძოლები კიდევ მეტი გააფთრებით ეკვეთნენ მტერს. ამ ბრძოლაში ფაშისტებმა მრავალი ჯარისკაცი დაჰკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით. ჩვენმა მებრძოლებმა საბრძოლო ამოცანა წარმატებით შეასრულეს. ამხ. ჩლაიძის საფლავზე მათ პირობა დასდეს, რომ ულმობლად იძიებენ შურს საყვარელი მეთაურის სიკვდილისათვის.

კაპიტანი **არ. კოკილაშვილი**

ნაღმმტყორცნელ ანტონოვის ოსტატობა

ცენტრალური ფრონტი, 10 დეკემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). მტრის სანაღმმტყორცნო ბატარეა ჩვენს შემტევ ქვეითი ჯარს წინწაწევის საშუალებას არ აძლევდა. ბატარეის ადგილსამყოფელი მალე აღმოაჩინეს ჩვენმა მებრძოლებმა, და მას გრიგალისებური სროლა აუტეხეს. სამი წუთის განმავლობაში მტერს 100 ნაღმი ესროლეს. გერმანელები დადუმდნენ—ბატარეა მოსპობილ იქნა მომსახურე პერსონალთან ერთად.

შორიდან ისე ჩანდა, თითქოს მტრის ბატარეას რამდენიმე ჩვენმა სანაღმმტყორცნო ბატარეამ დაუშინა თავის ცეცხლი. ნამდვილად კი მარტო უმცროსი სერჟანტი პეტრე ანტონოვი ისროდა 82-მილიმეტრიან ნაღმსატყორცნს.

ანტონოვი განთქმულია თავისი ცეცხლითი თავდასხმებით. სხვა ნაღმმტყორცნელებისაგან განსხვავებით, ის ნაღმსატყორცნის დამუხტვისას ორივე ხელით მუშაობს. ამისათვის ის ნაღმსატყორცნის მარცხენა მხარეზე დგება, მის მარჯვნივ დგას ერთი მებრძოლი, მარცხნივ—მეორე. სროლის დროს ისინი რიგრიგობით აწვდიან ანტონოვს ნაღმებს, და ის ნაღმებს ზედიზედ უშვებს ნაღმსატყორცნის ლულაში.

ჰიტლერელები ხოცავენ საბჭოთა სამხედრო ტყვეებს

მოქმედი არმია, 9 დეკემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ფაშისტთა ტყვეობას თავი დააღწია წითელარმიელმა ბერგენოვმა. იგი გვიამბობს, თუ რა საშინლად იღებენ აბუჩად ჰიტლერელები სამხედრო ტყვეებს.

— ვარშავის ახლოს მდებარე ბანაკი წარმოადგენს 3 კილომეტრზე გაჭიმულ ნაკვეთს, რომელიც ორ მწკრივად შემოღობილია ეკლიანი მავთულით. ტყვეები ზამთარშიც კი ცის ქვეშ ჰყავთ. ყველგან ჭუჭყია. სამხედრო ტყვეებს დამპალ პურს აჭმევენ, რომელშიც ვინ იცის რა არ ურევია.

ბანაკში ყოველდღე რამდენიმე კაცი იხოცება შიმშილით. ერთხელ ტყვემ გზაზე რაღაც საჭმელი იპოვნა. ეს გერმანელებმა შენიშნეს. იმავე დღეს ბანაკის კომენდატურამ გაგვამწკრივა. იმ ჯგუფს, სადაც „დამნაშავე“ იმყოფებოდა, ბანაკის კომენდანტი მიუახლოვდა და გრანატი ესროლა მწყობრს. რამდენიმე კაცი მოკვდა, რამდენიმე დაიჭრა.

ყოფილა შემთხვევები, რომ მცველებს ღობეს აქეთ გადმოუგდიათ პურის ნატეხი. როცა მას მშიერი ადამიანები მისცვივდნენ, — ხალხში გრანატი უსვრიათ.

წამება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ბანაკში ყოველ ახალ მოსულს ჯერ ვიწრო საკანში ათავსებენ, სადაც იგი რამდენიმე დღეს ფეხზე უნდა იდგეს, ვინაიდან ჯდომა შეუძლებელია. ტყვე მხოლოდ ასეთი „დამუშავების“ შემდეგ გადაჰყავთ საერთო ბანაკში.

ჰიტლერელი ჯარისკაცის ჩანთა

მოქმედი არმია, 10 დეკემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ლეიტენანტ შჩეგოლევის მზვერავებმა დასჭრეს გერმანელი მოტოციკლისტი. დაჭრილ გერმანელს უნდოდა შამბნარში მიმალულიყო, მაგრამ ნაღმს წააწყდა და ნაკუწ-ნაკუწად იქცა. მაინც მოხერხდა იმის გამორკვევა, რომ ეს იყო გერმანელთა მე-13 მოტომექანიზებული დივიზიის მოტოციკლისტთა ცალკეული ბატალიონის რიგითი ჯარისკაცი კურტ კრეფე. ის დაბადებულა 1918 წელს ქალაქ შტეტინში. ყოფილა ჰიტლერული ახალგაზრდობის კავშირის წევრი. მოტოციკლის ძარში იპოვეს ჯარისკაცის საკმაოდ გაბერილი ჩანთა.

— საინტერესოა, რას ატარებენ ფრიცები თავიანთ ჩანთებში? — ცნობისმოყვარეობით იკითხეს მზვერავებმა.

ჩანთაში აღმოჩნდა: ნახმარი კრაველის კავკასიური ქუდი, ვერცხლით გაწყობილი ტყავის ქამარი, ბავშვის შინნაკეთი ორი წყვილი მატყლის წინდა და ბავშვისავე წყვილი ასეთივე ხელთათმანი, 3 ვერცხლის სუფრის კოვზი, მაჯის საათი, საფულე, რომელშიც იყო სამი საბჭოთა ასმანეთიანი ასიგნაცია. ჩანთის სულ ძირში აღმოჩნდა კიდევ დაჭმუჭნული ტილოს ფარდა. საფულეში იყო მოზდოკის რაიონული საფინანსო განყოფილების ცნობა ომის ინვალიდ არსენტი ექვთიმეს-ძე შუტოვის სახელზე.

მებრძოლებისათვის ცხადი გახდა, რომ მათ მიერ მოსპობილია ჰიტლერის არმიის ტიპიური წარმომადგენელი, ჯარისკაცი-ქურდი, რომელსაც გაუძარცვავს ინვალიდი შუტოვი და რომელიც, როგორც იტყვიან, მამხილებელი ნივთებით იქნა შეპყრობილი.

ა. მალიბაშვილი

საბჭოთა ბავშვების მკვლელნი

მოქმედი არმია, 11 დეკემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ფრონტის ხაზზე გადმოსულმა საბჭოთა მოქალაქეებმა აგვიწერეს მთელი რიგი შემთხვევები იმისა, თუ როგორ დახოცეს ჰიტლერელებმა ბავშვები.

ამას წინათ მინსკში გერმანელებმა უპატრონო ბავშვების ჭერა მოაწყეს. ვაგზლის ახლოს და ქალაქის ნანგრევებში მათ შიმშილით ღონემიხდილი 200 ობოლი ბავშვი დაიჭირეს და ყველანი დახვრიტეს.

ბელორუსიის კოლმეურნეობა „სილაჩი“ და კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ჰიტლერელმა ბანდიტებმა ცოცხლად დამარხეს 5 ბავშვი. სურაჟის რაიონში მხეცურად აწამეს 25 ბავშვი. ქალაქ დმიტრიევსკში გერმანელმა კომენდანტმა სრულიად უმიზეზოდ მოკლა ტყვიით 13 წლის ბიჭი ილინი, სოფელ სტარი ბუზეცის მცხოვრები. სოფელ ლედნიკში ჰიტლერელები ვასილიევების ქოხში შევარდნენ, 70 წლის მოხუცი ქალი მოკლეს და 3 პატარა ბავშვი მოსწამლეს.

ორიოლის ოლქის ნავლის რაიონში სოფელ ვერნიკში ფაშისტებმა 35 ბავშვი შეაგდეს ცეცხლმოკიდებულ შენობაში. ცეცხლში დამწვართა შორის ძუძუთა ბავშვებიც იყვნენ.

ყუბანის ოლქში, ხუტორ ნოვო-ივანოვსკის ახლოს, საბჭოთა მზვერავებმა გოგონას და ბიჭის გვამები აღმოაჩინეს. ისინი 12-13 წლისანი იქნებოდნენ. მათ გვერდით მოწაფის ჩანთა ეგდო, რომელშიც ცოტა პური, რამდენიმე ვაშლი და პიონერის ყელსახვევი იდო. მზვერავებმა რვეულის გარეკანის წარწერის საშუალებით გამოარკვიეს გოგონას გვარი. იგი აღმოჩნდა ლიდია დიაჩენკო. ბიჭის ვინაობის გამორკვევა ვერ მოხერხდა. გერმანელებს გოგონა გაუუპატიურებიათ, ხოლო შემდეგ მოუკლავთ. ვაჟი დანით იყო დასერილი. მას მოჭრილი ჰქონდა აგრეთვე ხელების თითები; როგორც ჩანს, მან ინსტინქტურად მიიფარა სახეზე ხელები, როდესაც გერმანელებმა წამება დაუწყეს.

ჰიტლერელთა მხეცობა

ცენტრალური ფრონტი, 11 დეკემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ჩვენი ნაწილები, რომლებიც გერმანელებს ერეკებიან დასახლებული პუნქტებიდან, ყველგან აწყდებიან ფაშისტ ბარბაროსთა მხეცობის კვალს.

ჩვენ მიერ განთავისუფლებულ ერთ სოფელში უფროსმა პოლიტხელმა ლაზორევმა, უფროსმა ლეიტენანტმა სიკოროვმა, წითელარმიელებმა კატკოვმა და მალიუგამ 3 წითელარმიელის ნახევრადდამწვარი გვამი იპოვნეს. გასინჯვის დროს გამოირკვა, რომ დაჭრილნი ყოფილან და ტყვედ ჩავარდნიან გერმანელებს. ფაშისტებს დაჭრილებისათვის საწვავი სითხით გაჟღენთილი ჩვრები და ძენძი შემოუხვევიათ და ცეცხლში ჩაუყრიათ.

სხვა სოფელში აღმოჩენილია საბჭოთა 9 მებრძოლის დასახიჩრებული გვამი. ერთ-ერთ მათგანს შუბლზე ვარსკვლავი აქვს ამოჭრილი. ყველას დაჭრილი აქვს ყურები და დათხრილი აქვს თვალები.

გერმანიის გენერალური შტაბის უფროს ჰალდერის გადაყენება

გენშტაბის ახალ უფროსად დაინიშნა გესტაპოსთან ახლომდგომი გენერალი ცაიტცლერი

ჟენევა, 11 დეკემბერი (საკდესი). ბერლინში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ გერმანიის არმიის გენერალური შტაბის უფროსად გენერალ ჰალდერის ნაცვლად დაინიშნა გენერალი ცაიტცლერი. როგორც საქმისგაცნობილ წრეებში აცხადებენ, ფაქტიურად ჰალდერის გადაყენება და ცაიტცლერით მისი შეცვლა მოხდა დაახლოებით ორი თვის წინათ, მაგრამ ჰიტლერი ამას საიდუმლოდ ინახავდა. ჰალდერის გადაყენება გამოწვეულია გერმანიის 1942 წლის კამპანიის სტრატეგიული გეგმების ჩაშლით, ისევე როგორც ბრაუხიჩის გადაყენება ერთი წლის წინათ მოწმობდა 1941 წლის კამპანიის კრახს. შარშან ჰიტლერმა მსხვერპლად მიიტანა ბრაუხიჩი, მაგრამ გადაწყვიტა შეენარჩუნებინა ჰალდერი. წელს მას მოუხდა მოეხდინა არჩევანი—თვითონ ეთქვა უარი არმიის ხელმძღვანელობაზე თუ ჰალდერი გადაეყენებინა. ჰიტლერმა ამჯობინა განტევების ვაცად გაეხადა ჰალდერი და მას დააკისრა პასუხისმგებლობა იმ გეგმების ჩაშლისათვის, რომლებიც ჰიტლერმა თვითონ მოახვია თავს ჰალდერს.

გენერალური შტაბის ახალი უფროსი ცაიტცლერი ეკუთვნის იმ გენერალთა რიცხვს, რომელნიც სარგებლობენ გესტაპოს და „სს“-ელთა ჯარების უფროს ჰიმლერის განსაკუთრებული მხარდაჭერით. მის დანიშვნას უკავშირებენ ჰიტლერის მისწრაფებას გააძლიეროს გესტაპოს კონტროლი არმიის მეთაურთა შემადგენლობისადმი.

იტალიის ქალაქებიდან მოსახლეობა პანიკურად გარბის

ლონდონი, 11 დეკემბერი (საკდესი). გაზეთი „დეილი მეილი“ გადმოგვცემს, რომ მილანიდან უკვე 400.000 მცხოვრები გაიხიზნა.

15 დეკემბრიდან ყველა სკოლა იხურება. მუსოლინიმ 8 დეკემბერს ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლის მიზანია ბოლო მოუღოს მოსახლეობის პანიკურ გაქცევას იმ რაიონებიდან, რომლებსაც მტერი ბომბავს, ვინაიდან პანიკამ ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ შესაძლოა მთელს იტალიაში შეჩერდეს მრეწველობის მუშაობა.

ის პირნი, რომელნიც მილანიდან ათასობით მცხოვრების გაქცევის მოწმენი იყვნენ, გადმოგვცემენ, რომ მათ შემაძრწუნებელი სურათი ნახეს. ლტოლვილნი მიმოსვლისათვის ყოველგვარი სახის სატრანსპორტო საშუალებას იყენებდნენ, ურიკით დაწყებული ავტომობილამდე, რომელშიც ცხენი ჰყავდათ შებმული. ლტოლვილთა ტანჯვას უფრო მეტად აძლიერებს დაწყებული ძლიერი სიცივე.

ჟენევა, 11 დეკემბერი (საკდესი). აქ მიღებული ცნობების თანახმად, იტალიის სანავსადგურო ქალაქებში—ბრინდიზსა და ბარში, რომლებიც იტალიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობენ, სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყო.

ნეაპოლსა და ტურინზე ამერიკის ავიაციის თავდასხმის შედეგები

ლონდონი, 11 დეკემბერი (საკდესი). გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნეაპოლზე ამერიკის ბომბდამშენების ამასწინანდელი თავდასხმა ხმელთაშუა ზღვაში მოკავშირეთა ახალ წარმატებებს მოწმობს. ნეაპოლს 6 თვის განმავლობაში არ დასხმიან თავს, სანამ ინგლისელებმა მოწინავე აეროდრომები არ მიიღეს ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროზე. იგი იტალიის უმნიშვნელოვანესი ნავსადგური და სამხედრო-საზღვაო ბაზაა. საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკაში მოკავშირეთა ჯარების გადასხმამ აიძულა მუსოლინი თავისი ფლოტის მთავარი ძალები ტარანტოდან ნეაპოლში გადაეყვანა, რათა წინააღმდეგობა გაეწია იტალიაში შესაძლო შეჭრისათვის. ნეაპოლის ხანგრძლივმა და სისტემატურმა დაბომბვამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს მტრის კომუნიკაციების დარღვევაში ხმელთაშუა ზღვის ცენტრალურ ნაწილში და მოკავშირეთა კონტროლის გასაძლიერებლად ამ წყლებში. საზვერავმა ფრენამ დაგვანახვა, რომ ნეაპოლის ნავსადგურში არის დაზიანებული ორი კრეისერი და ერთი სახაზო გემი. ძლიერ დაზიანდა აგრეთვე სანავსადგურო ნაგებობანი.

როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 9 დეკემბერს ღამით ტურინზე ინგლისის ავიაციის თავდასხმის შედეგად ქალაქში 30 ადგილას დიდი ხანძარი გაჩნდა. თავდასხმა 55 წუთს გაგრძელდა. ინგლისის თვითმფრინავებმა დიდძალი ფუგასური და მრავალი ცეცხლგამჩენი ბომბი ჩამოჰყარეს.

ა. შ. შტატების რესპუბლიკური პარტიის ნაციონალური კომიტეტის ახალი თავმჯდომარის არჩევა

შპენგლერის გამოსვლა იზოლაციონიზმის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 10 დეკემბერი (საკდესი). ა. შ. შტატების რესპუბლიკური პარტიის ნაციონალური კომიტეტის სხდომაზე სენლუიში კომიტეტის თავმჯდომარედ, კონგრესის წევრ მარტინ ჰარისონის ნაცვლად, არჩეულია შპენგლერი. შპენგლერი პროფესიით იურისტია აიოვას შტატიდან, მრავალი წლის განმავლობაში რესპუბლიკური პარტიის აქტიური მოღვაწეა. უკიდურესი მემარჯვენე იზოლაციონისტი ელემენტები ამ სხდომაზე სენატორ ტაფტის ხელმძღვანელობით გადამწყვეტ ბრძოლას ეწეოდნენ კომიტეტის თავმჯდომარედ ჩიკაგოელ იურისტ შრედერის ასარჩევად, რომელსაც იაპონელთა მიერ პირლ-ჰარბორზე თავდასხმამდე იზოლაციონისტური პოზიცია ეკავა. როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, უილკის მომხრეები შრედერის კანდიდატურის წინააღმდეგ გამოვიდნენ, რის შედეგადაც ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა შპენგლერი.

ლონდონი, 10 დეკემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ნიუ-იორკელი კორესპონდენტი იუწყება, რესპუბლიკური პარტიის ნაციონალური კომიტეტის ახალი თავმჯდომარე შპენგლერი გამოვიდა გადამჭრელი განცხადებით, რომელიც მიმართულია იზოლაციონიზმის წინააღმდეგ.

ჰიტლერის მუქარა ფრანგი ხალხის მიმართ

სტოკჰოლმი, 11 დეკემბერი (საკდესი). საფრანგეთის არაოკუპირებულ ზონაში გერმანიის ჯარების ვერაგული შეჭრისა და საფრანგეთის არმიის სრული განიარაღების შემდეგ ჰიტლერული პრესა მუქარის ტონით მოითხოვს ფრანგი ხალხისაგან დაემორჩილოს გერმანიის ნებისყოფას და შესწყვიტოს წინააღმდეგობა. გაზეთი „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი“ მოითხოვს, რომ საფრანგეთში ხელისუფლების სათავეში მხოლოდ ისეთი ადამიანები იდგნენ, რომლებიც მზად იქნებიან იარონ მთავრობის მეთაურ ლავალისა და სახელმწიფოს მეთაურ პეტენის მიერ არჩეული გზით. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყველაზე უფრო თამამ მიზნებს დორიო ისახავს. იგი მოითხოვს გერმანიასთან აბსოლუტურ და ყოველმხრივ თანამშრომლობას და ინგლისისა და ამერიკისათვის ომის გამოცხადებას. როგორც „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი“ აცხადებს, დორიოს ეს მოთხოვნა ვიშის მთავრობის მთელი რიგი სხვა ჯგუფების პოზიციას ემთხვევა.

გაზეთი „ფელკიშერ ბეობახტერი“ ერთ-ერთ სტატიაში ცინიკურად აცხადებს, რომ გერმანელებს განზრახვა ჰქონდათ თავიანთ ფორპოსტად გადაექციათ ტულონში მყოფი საფრანგეთის ფლოტი.

დაძაბული საშინაო მდგომარეობა იტალიაში

ლონდონი, 10 დეკემბერი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტროს მოჰყავს ფაქტები, რომლებიც ახასიათებენ საშინაო ეკონომიური და პოლიტიკური სიძნელეების გამწვავებას იტალიაში. „სრულიად არ არის საეჭვო,—ნათქვამია ცნობაში, — რომ ფაშისტთა პოლიტიკას იტალიისათვის დიდი დამღუპველი შედეგი ჰქონდა. მისი იმპერია დაკარგულია. მისი არმია დამარცხებული და მოსპობილია. იტალიელი ხალხის ცხოვრების დონე ჩამოქვეითებულია უკიდურეს ზომამდე. იტალიის მოსახლეობისათვის პურის გაცემის ნორმა უფრო მცირეა, ვიდრე ყველა ევროპულ ქვეყანაში, პოლონეთისა და საბერძნეთის გამოკლებით“.

ინფლაციის საფრთხე იტალიაში ყოველდღე მატულობს. ჯერ კიდევ ომამდე მუსოლინი კვეხნით აცხადებდა, რომ იგი „არასოდეს არ მიაყენებს იტალიას სირცხვილსა და ლირის კრახით გამოწვეულ ეკონომიურ კატასტროფას“. მაგრამ ახლა ინფლაცია ფაქტი ხდება.

სურსათის უდიდეს ნაკლებობას იტალიაში უმთავრესად იწვევს სურსათის მეტი ნაწილის გერმანიაში გაგზავნა. ზრდადი სასურსათო სიძნელეების ნიადაგზე ვითარდება სპეკულაცია. მუსოლინიმ ჯერ კიდევ ივნისში გამოაქვეყნა დეკრეტი, რომელიც უმკაცრეს სასჯელს ითვალისწინებდა სპეკულაციისათვის. მას შემდეგ სპეკულაციამ კიდევ უფრო იმატა, ამასთან ყოველგვარ სპეკულატურ მახინაციებში უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებენ ფაშისტი მეთაურები.

ხალხის სიძულვილი ფაშისტებისადმი იმდენად დიდია, რომ ფაშისტებს ეშინიათ გამოჩნდნენ ქუჩებში და საზოგადოებრივ ადგილებში ფაშისტურ ნიშნებიანად. ფაშისტური გაზეთი „კორიერე დელა სერა“ აღიარებს, რომ ბევრი ფაშისტი „სარგებელს ნახულობს იმაში, რომ ფაშისტური პარტიის წევრია. ისინი სპეკულაციას ეწევიან თავიანთი წევრობით და იმავე დროს იხსნიან ნიშანს და იქმნიან ილუზიას, რომ პასუხისგებისაგან შველიან თავს“.

მეორე ფაშისტური გაზეთი „კორიერე მერკანტილე“ აღიარებს, რომ ბევრი ფაშისტი „სპეკულაციას ეწევა, ინტრიგანობს, ფიქრობს მხოლოდ თავისი პოსტის შენარჩუნებაზე და იმაზე, თუ როგორ გაექცეს პასუხისმგებლობას“.

ომი წყნარ ოკეანეში

ლონდონი, 11 დეკემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გონა (ახალი გვინეა) სავსებით გაწმენდილია იაპონელთა ჯარებისაგან. იაპონელთა ცდამ კონტრიერიში მიეტანათ ბუნის სექტორში მარცხი განიცადა. ბუნისთვის ალყის შემორტყმის დაწყებიდან—15 ნოემბრიდან—ახალ გვინეაში ჩამოგდებულია 100 თვითმფრინავი და მიწაზე მოსპობილია 26.

ამ რაიონში ბრძოლას განსაკუთრებით სასტიკი ხასიათი აქვს. ამერიკელები თითო მეტრობით მიიწევენ წინ.

იაპონელთა საზღვაო ზარალი

ვაშინგტონი, 11 დეკემბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო მინისტრმა ნოქსმა პრესის წარმომადგენელთ განუცხადა, რომ არსებული ცნობების თანახმად, იაპონიამ უკვე დაჰკარგა ერთიდან—ერთნახევარ მილიონ ტონამდე სავაჭრო ფლოტი. სულ მას 6 მილიონ ტონიანი ფლოტი ჰყავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედი არმია (სტალინგრადის რაიონი). ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ჩეხმა ემილტმ დაიყოლია 7 გერმანელი, მოჰკლა თავისი ოფიცერი ლეიტენანტი ფონ-მალცენი და გერმანელ ჯარისკაცებთან ერთად დაგვნებდა ტყვედ. სურათზე: გერმანელების ჯგუფი თეთრი ბაირაღით ჩვენს მხარეზე გადმოდის.

ფოტო კინოოპერატორ ა. კოზაკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

„სამშობლო“ ჭიათურის სახელმწიფო თეატრში

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ვითარებაში ცოცხლდებიან, ახალი ძალით და მიმზიდველობით მეტყველებენ რევოლუციამდელი ქართული თეატრის პატრიოტული რეპერტუარის შემადგენელი საკეთესო პიესები: „ღალატი“, „სამშობლო“, „და-ძმა“ და სხვ. ამ პიესებში განსახიერებული უწმინდესი გრძნობები სამშობლოსადმი თავდადებული სიყვარულისა და ერთგულებისა ღრმად ეთანხმოვანებიან საბჭოთა ადამიანების ახლანდელ საბრძოლო პატრიოტულ სულისკვეთებას. ამიტომაც ეს დრამატურგიული მემკვიდრეობა ახლა ცხოველ აქტუალობას იძენს და ფართო საზოგადოებრივ გამოხმაურებას პოულობს. ამის დამადასტურებელია ის წარმატება, რომლითაც სავსებით დამსახურებულად სარგებლობს მაყურებელთა შორის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის უკანასკნელი პრემიერა „სამშობლო“.

სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში უშიშრად მიდიან „სამშობლოს“ მთავარი გმირები. სამშობლოსათვის ისინი მზად არიან აიტანონ ყოველგვარი სატანჯველი, გულში ჩაიკლან პირად-ინტიმურ ურთიერთობაზე აღმოცენებული მრისხანე შურისძიების გრძნობა, რაკი ამას სამშობლოს კეთილდღეობა მოითხოვს, დაუნდობლად განგმირონ საკუთარი მიჯნური, რაკი ამ უკანასკნელს სამშობლოსათვის უღალატნია, ამაყად და ქედუხრელად შეეგებონ სიკვდილს, რათა საკუთარი სიკვდილით სამშობლოს სიკვდილი დასძლიონ.

რამდენად მშობლიურია და ახლობელი ყოველივე ეს ფაშისტ დამპყრობთა ურდოების წინააღმდეგ მებრძოლი საბჭოთა ხალხისათვის, რომელიც სამამულო ომის ფრონტებზე თუ ზურგში ყოველდღიურად გვიჩვენებს პატრიოტული თავგანწირულების ურიცხვ, იშვიათ და შეუდარებელ მაგალითებს!

ჭიათურის სახელმწიფო თეატრის კოლექტივს მოსაწონი გულმოდგინებით, პასუხისმგებლობის შეგნებით და გატაცებით უმუშავნია ამ პიესის ღირსეულად განსახორციელებლად. პიესის დამდგმელებს ს. ცომაიას და მ. ვაშაძეს მიუღწევიათ იმისათვის, რომ მკაფიოდ და ხაზგასმულად გამოხატულიყო სპექტაკლში დრამის ძირითადი იდეა და სწორად ყოფილიყო გაგებული და განსახიერებული პიესის გმირთა ხასიათები.

დადგმაში არაფერია გარეგნულად ელვარე და „თვალისმჭრელი“. მხატვარ ი. სუმბათაშვილის მიერ ნიჭიერად შესრულებული დეკორაციის მიუხედავად, სპექტაკლი ერთი შეხედვით ძუნწად გამოიყურება. წარმოდგენაში არ მონაწილეობს ორკესტრი. თეატრს მთელი ყურადღება და ენერგია შინაგან მხატვრულ სიმართლეზე, როლების წრფელ და დამაჯერებელ განსახიერებაზე გადაუტანია. ამ მხრივ თეატრს მიზნად დაუსახავს შეითვისოს და გამოიყენოს მხატვრული სისადავის ხელოვნება, იმ ძველი ქართული თეატრისა, რომლის რეპერტუარსაც „სამშობლო“ ამშვენებდა.

სპექტაკლის მონაწილე მსახიობთაგან პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს სოლომონ ლეონიძის როლის შემსრულებელი—მ. ვაშაძე. მან შესძლო გადმოეცა ის შინაგანი კეთილშობილება, ნებისყოფის ძალა, პატრიოტული მგზნებარება, რაც პიესის მიხედვით ლეონიძეს ახასიათებს. მ. ვაშაძე ამ როლში მდიდარი შესაძლებლობისა და პოტენციის მსახიობად გვევლინება; საჭიროა მხოლოდ მეტყველების მეტი ბუნებრივობა, დაძლევა იმ დეკლამაციური ტონისა, რომელიც მსახიობის საუბარში და განსაკუთრებით მონოლოგების წარმოთქმისას იგრძნობა.

ტემპერამენტის სიმძაფრე და ლირიკული სითბოა შეთავსებული მსახიობ მ. კუსიანის თამაშში, რომელიც ლევან ხიმშიაშვილის ფრიად საპასუხისმგებლო როლს ასრულებს. მსახიობი ბ. რომანიშვილი ახერხებს განაცდევინოს მაყურებელს ის მწვავე სულიერი დრამა, რომლითაც მოცულია ქეთევანის არსება, არსება იმ ქალისა, რომელიც სიყვარულის ამაღლებულ გრძნობას უკიდურეს სულდაბლობამდე, საზიზღარ მოღალატეობამდე მიუყვანია. უნდა აღინიშნოს, რომ მსახიობი თანაბარ დონეს ვერ ინარჩუნებს პიესის მთელ მანძილზე. მას კიდევ სჭირდება მუშაობა ამ უაღრესად რთული ხასიათის ღირსეულად განსახიერებისათვის.

მაყურებლის წრფელ თანაგრძნობას იმსახურებს მსახიობი გ. ნუცუბიძე (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი), რომელიც შესანიშნავად ასრულებს სამშობლოსათვის თავდადებული მოხუცის—გოგია დიაკვნის როლს.

დანარჩენ შემსრულებელთაგან ყურადღებას იმსახურებენ: გ. ტყაბლაძე (შაჰ-აბასი), მ. სუკოსიანი (ფაიხოშ), შ. თხელიძე (ისრაფილ-ხანი).

ეს წარმოდგენა მკაფიო გამოხატულებაა იმ ენერგიული და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისა, რასაც ჭიათურის სახელმწიფო თეატრის ნიჭიერი კოლექტივი ეწევა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ვითარებაში.

ბესო ჟღენტი

კონსულტაცია

12 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა და აგიტატორებისათვის შესდგება ამხ. ბაქრაძის კონსულტაცია ქართულ ენაზე. თემა: **„უსასტიკესი ეკონომია საომარი დროის რკინისებური კანონია“.**

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში ამხ. ვერულავასთან სამი დღის განმავლობაში უნდა გამოცხადდნენ: ი. კ. ზოლოტარევი, დ. გ. კერესელიძე, ხ. გ. უტეშოვა, ა. რ. ბერუაშვილი, მ. ი. რელიზოვა, გ. ბ. ბოიაჯიანი.

კინოებში

რუსთაველის სახ. — „ომის ერთი დღე“. ოქტომბერი — „ჭაბუკი ტაიგიდან“. დამკვრელი — „მშვენიერი ვასილისა“. კომკავშირელი — „ტანკერი „დერბენტი““. სპარტაკი — „სამი ამხანაგი“. ლუქსემბურგის სახ. — „ჭაბუკი ტაიგიდან“. კომინტერნი — „მეზღვაურები“. 26 კომ. სახ. — „პეპო“.

თეატრებში

13 დეკემბერს: სახოპერა — დღისით — „ალი“, საღამოს — „ჩიო-ჩიო-სან“. **რუსთაველის სახელობის** — დღისით და საღამოს — „ოლეკო დუნდიჩი“. **მარჯანიშვილის სახელობის** — დღისით — „პარტიზანები“, საღამოს — „მარგარიტა გოტიე“. **გრიბოედოვის სახელობის**—დღისით და საღამოს—„ბარბაროსები“. **სომხური თეატრი**—დღისით და საღამოს—„ინჟინერი სერგეევი“. **ახუნდოვის სახელობის** — დღისით—„უნზულა“, საღამოს—„ფახრად და შირინი“, **მუსიკალური კომედია** — „არშინ-მალ-ალან“. **სანკულტურის** — „სტუმარ-მასპინძლობა“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — დღისით — „ბროლის სასახლე“, საღამოს — „შურისძიება“. **მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი** — დღისით და საღამოს — „გაუზრდელი“. **მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი** — დღისით და საღამოს — „კერი კუჩა“.

პასუხისმგებელი რედაქტორის
მოადგილე გ. ჯიბლაძე

სახელმწიფო დაზღვევა
სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები ატარებენ მშრომელთა სიცოცხლის
კოლექტიურ დაზღვევას

დაზღვევა გაფორმდება იმ პირობით, თუ კოლექტივის მომუშავეთა რაოდენობის არანაკლებ 40%-ისა წერილობით განაცხადებს დაზღვევის სურვილს ერთიან სადაზღვევო თანხაში.

დაზღვევა მიიღება 500, 1.000, 2.000, 3.000, 4.000 და 5.000 მანეთზე თითოეულ მშრომელზე.

გადასახდელი 12 მან. წლიურად სადაზღვევო თანხის ყოველ 1.000 მანეთზე.

სახდაზღვევა გასცემს სადაზღვევო თანხას დაზღვეულის სიკვდილის გამო ან უბედური შემთხვევისაგან ინვალიდობის გამო.

დაზღვევა ტარდება მშრომელთა სამუშაო ადგილის მიხედვით.

მოაწყეთ სიცოცხლის კოლექტიური დაზღვევა!

გარდა სიცოცხლის კოლექტიური დაზღვევისა, შეიძლება სიცოცხლის ინდივიდუალურად დაზღვევა. სიცოცხლის ინდივიდუალურად დაზღვევა შეიძლება იმ თანხაზე, რომელსაც მოისურვებს მშრომელი.

ცნობებისათვის მიმართეთ რაიონის (ქალაქის) დაზღვევის ინსპექტორებსა და დაზღვევის აგენტებს.

310 საქართველოს სსრ სახდაზღვევის სამმართველო

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს, რომ ა. წ. 26 დეკემბერს, დღის 1 საათზე, № 26 აუდიტორიაში (ფიზიკა-ქიმიის კორპუსი), ქიმიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე **პელაგია ივანეს-ასული კაპანაძე** დაიცავს დისერტაციას ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „საქართველოში გავრცელებული ლობიოს ჯიშების ქიმიური შემადგენლობის შესწავლისათვის“.

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი **მ. ხ. ბექაია**, ქიმიის მეცნ. კანდიდატი დოცენტი **ვ. ლ. ხუხია.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორი დ. ყიფშიძე

დაკარგულია 51-ე საშუალო სკოლის შტამპი. ჩ. გ. 1607

დაკარგულია ცეკავშირის თბილისის სავაჭრო კოოპერატიული სკოლის კუთხის შტამპი. ჩ. გ. 1609

ჰოსპიტლების სამმართველოს განყოფილება საქართველოს სსრ-ში იუწყება ექიმ
გიორგი ანტონის-ძე გრიგოლაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 13 და 14/XII, 5 ს. გრიბოედოვის ქ. № 18. გამოსვენება 15/XII, 5 ს. დაკრძალვა ვერის ძველ სასაფლაოზე. 1606

„საქმეუდაშნადებამომარაგების“ თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომლის დავით ძველაიას დედის
მაკრინე სესიას-ასულ ძველაიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 13/XII, დ. აბაშაში. 1604

მეუღლე ნინო ვასილის-ასული, შვილები მერი და ლავრენტი იუწყებიან, რომ 13/XII, 2 ს. ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია
ალექსი ნიკოლოზის-ძე საჯაიას
სამოქალაქო პანაშვიდი. 1600

გაზ. „კომუნისტის“ ადგილკომი იუწყება თანამშრომელ ანა ბარბაქაძის ძმისწულის
გიორგი სიმონის-ძე ბარბაქაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 13/XII, სოფ. საქარაში.

მე-9 პოლიკლინიკის პარტორგანიზაცია და ადგილკომი იუწყებიან, რომ 13/XII, 2 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია ამავე პოლიკლინიკის დირექტორის ექიმ თამარ კობახიძის ქმრის
ერვანდ ივანეს-ძე იოანისიანის
სამოქ. პანაშვიდი. 1608

ომი წყნარ ოკეანეში

სწრაფი და დიდი წარმატებების შემდეგ, რომლებსაც იაპონიამ წყნარი ოკეანის ბასეინში მიაღწია, დადგა მძიმე საქმეები. კომუნიკაციების შორ მანძილზე გაჭიმვა და დარტყმის ცენტრალური ხაზიდან დაშორება სულ უფრო და უფრო ზღუდავს იაპონიის მოქმედებას. სამხედრო-საზღვაო ძალების დიდმა ზარალმა მაკასარის სრუტეში, მარშალის და მარჯნის კუნძულებთან, აგრეთვე ამერიკის კუნძულ მიდუეისთან და სოლომონის კუნძულებზე მომხდარ ბრძოლებში კიდევ უფრო გააძნელა იაპონიის მდგომარეობა. ჩერჩილის სიტყვით, სამხედრო-საზღვაო ძალების ბალანსი წყნარი ოკეანის ბასეინში ინგლისისა და ამერიკის სასარგებლოდ ჩამოყალიბდა, და არა იაპონიის სასარგებლოდ.

ამასთან დაკავშირებით იაპონიის ცალკეულ სტრატეგებს შორის და პოლიტიკურ წრეებში გამწვავდა ბრძოლა შემდგომი საომარი ოპერაციების გარშემო. იაპონელი სტრატეგების ნაწილი დაჟინებით მოითხოვს საომარი მოქმედების ინდოეთის წინააღმდეგ მიმართვას. მათის აზრით, ეს ოპერაცია ხელს შეუწყობს იმას, რომ განხორციელებულ იქნას გერმანია-იაპონიის ფართო სტრატეგია—შეხვდნენ ერთმანეთს სპარსეთის ყურესთან.

ამ სტრატეგიაზე მიუთითებდა თავის გამოსვლაში რუზველტიც, რომელიც ამბობდა, რომ გერმანია ცდილობს დაამყაროს თავისი ბატონობა ხმელთაშუა ზღვის და ინდოეთის ოკეანის ბასეინში, რათა იაპონიას შეუერთდეს.

მაგრამ იაპონელი სტრატეგების მეორე ჯგუფი პროტესტს გამოსთქვამს ამ გეგმის წინააღმდეგ. ისინი მიუთითებენ, რომ ინდოეთის მიმართ იაპონიამ იგივე შეცდომა გაიმეორა, რაც 1940 წელს ჰიტლერმა ჩაიდინა დიუნკერკის შემდეგ. მათი აზრით, მას შემდეგ, რაც გერმანელებმა დიუნკერკი დაიკავეს და ინგლისის ჯარები ევროპის კონტინენტიდან გაყვანილ იქნენ უკანვე ბრიტანეთის კუნძულებზე,—ჰიტლერი ინგლისში უნდა შეჭრილიყო, ის კი პარიზისაკენ დაიძრა. ხოლო როდესაც ჰიტლერმა დაიწყო ბრძოლა ინგლისისათვის, ჩერჩილმა ამასობაში უკვე მოასწრო ბრიტანეთის კუნძულების საკმაოდ გამაგრება და ამიტომ ჰიტლერის ცდები ხელში ჩაეგდო ეს კუნძულები — მარცხით დამთავრდა.

იგივე შეცდომა, იაპონიის ამ წრეების აზრით, ჩაიდინა იაპონიამ. ბირმის დაკავების შემდეგ იაპონია ინდოეთში კი არ შეიჭრა, არამედ კვლავ სამხრეთ ჩინეთში შევიდა და ამით ხელიდან გაუშვა ინდოეთში შეჭრისათვის ძვირფასი დრო. ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ისარგებლეს ამით, თავი მოუყარეს ინდოეთში მნიშვნელოვან (1 მილიონამდე კაცი) ჯარებსა და ტექნიკას და ამჟამად ინდოეთის დაპყრობა იაპონიისათვის დაკავშირებულია რისკთან,—სახელდობრ, კომუნიკაციების გაჭიმვასთან და დარტყმის ცენტრალური ხაზიდან დაშორებასთან.

ამ წრეების აზრით, ინდოეთში იაპონიისათვის შეიძლება გამეორდეს ის, რასაც ადგილი ჰქონდა ჩინეთში, რომ ინდოეთში ვარაუდი დამყარებულ უნდა იქნას მეხუთე კოლონაზე, ე. ი. ამ ქვეყანაში ინგლისის საწინააღმდეგო მოძრაობის ყოველნაირად გაჩაღებაზე, რათა ინდოეთი დაპყრობილ იქნას შიგნიდან აფეთქებით.

იაპონიის საზღვაო წრეები მოითხოვენ ოპერაციების გაჩაღებას უწინარეს ყოვლისა ავსტრალიის წინააღმდეგ, მაგრამ ამ მიმართულებით იაპონია დიდ სიძნელეებს წააწყდა სოლომონის კუნძულების რაიონში.

დასასრულ, იაპონიაში არიან ისეთი წრეებიც, რომლებიც ჩინეთის საკითხს სთვლიან იაპონიის „აქილევსის ქუსლად“ წყნარი ოკეანის პრობლემაში, მათ მიაჩნიათ, რომ ჩინეთის პრობლემის გადაუჭრელად იაპონიის არავითარი წარმატება წყნარი ოკეანის ბასეინში სრულფასოვანი არ იქნება.

როგორც ცნობილია, ჩინეთი წარმოადგენს იაპონიის სახმელეთო კომუნიკაციების მთავარ ბაზას წყნარ ოკეანესთან დასაკავშირებლად. მაგრამ იაპონია მაგრად ჩაეფლო ჩინეთში. ჩინეთის პრობლემა თავის სასარგებლოდ რომ გადაეჭრა, ბირმის დაკავების შემდეგ იაპონია დაიძრა არა ინდოეთისაკენ, არამედ სამხრეთ ჩინეთისაკენ, იმ იმედით, რომ ბირმის გზის დაკეტვა და ამის შედეგად ინგლისიდან და ამერიკიდან სამხედრო მასალებით ჩინეთის მომარაგების შემცირება გაუადვილებდა იაპონიას ჩინეთის დაპყრობას.

იაპონიის შეტევას ჯეძიანსა და ძიანსიზე წარმატება არ მოჰყვა. იაპონიამ სცადა მოეხდინა დარტყმა ჩინეთის განსაკუთრებულ რაიონზე, რომელსაც ჩინელი კომუნისტები ხელმძღვანელობენ. იაპონიამ სცადა საფრთხე შეექმნა ჩუნცინისთვისაც. მაგრამ, როგორც ჩან კაი-შიმ ჩინეთის ნაციონალურ-პოლიტიკური საბჭოს სხდომაზე თავის უკანასკნელ გამოსვლაში აღნიშნა, გასული წლის მანძილზე ჩინეთში წარმოებული ბრძოლების შედეგად ჩინეთის ჯარები თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდნენ და მიღწეულია უდავო შედეგები ყველა ღონისძიებაში გენერალური შეტევისათვის მომზადების დარგშიც.

რა თქმა უნდა, ჩინეთი დიდ სიძნელეებს განიცდის. იაპონიას ხელში უჭირავს ჩინეთის მთელი ტერიტორიის დაახლოებით მეხუთედი ნაწილი. ბირმის გზის დაკეტვის გამო ჩინეთი იარაღის, საომარი მასალებისა და საჭურვლის დიდ ნაკლებობას გრძნობს. ჩან კაი-შიმ 11 მილიონამდე კაცის მობილიზაცია მოახდინა, მაგრამ თოფქვეშ მხოლოდ 5 მილიონია. ყველა ამ სიძნელის მიუხედავად, ჩინეთი ენერგიულად იბრძვის და თავდაცვიდან თანდათანობით გადადის შეტევაზე.

იაპონიის ზოგიერთი დიპლომატი ცდილობდა ჩინეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყებას, მაგრამ ჩუნცინი ამას არ დაეთანხმა. სხვებმა სცადეს ამის მიღწევა ნანკინის ვან ძინ-ვეის მთავრობასთან წარგზავნილ იაპონელ რწმუნებულთა მეშვეობით, რისთვისაც ნანკინში რწმუნებულთა პოსტზე დაინიშნენ იაპონიის უფრო მშვიდობიანი წრეების წარმომადგენლები, მაგალითად, ხირანუმა, არიტა, ნოგაი და სიგემიძუ, რომელთაც ძველი ურთიერთობა ჰქონდათ ჩუნცინთან. ნანკინში რომ ჩავიდნენ, ვან ძინ-ვეის მთავრობასთან დანიშნულმა იაპონელმა რწმუნებულებმა სუნ იატ-სენის მავზოლეუმიც კი ინახულეს, მაგრამ ჩუნცინი ამ ანკესზე არ წამოეგო.

ჩინეთის საკითხი, იაპონიისათვის ძირითადი საკითხი წყნარი ოკეანის პრობლემაში, გადაუწყვეტელი რჩება. ჩინელი ხალხი განაგრძობს გმირულ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. ეს ხელფეხს უბორკავს იაპონიას წყნარი ოკეანის ბასეინში და ხელს უშლის მას უფრო აქტიური მოქმედება გააჩაღოს ინდოეთისა და ავსტრალიის მიმართულებით.

დ. ზავრიევი

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 11089